საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის
ოქმი N2

ქ. თბილისი **05 სექტემბერი 2013 წ.**

შესყიდვის საგანი: ქ.თბილისში, კრწანისში არსებულ 47002,0 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.18.13.049.005) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N910; 23.08.2013წ) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე	მინისტრის მოადგილე
-კობა ხუბუნაია	საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია	დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- გია ნაჭყებია	ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

შვებულებაში ყოფნის გამო, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას არ ესწრებოდა სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავჯდომარე - გოგი ფაცაცია.

დღის წესრიგი:
ქ.თბილისში, კრწანისში არსებულ 47002,0 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.18.13.049.005) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2013 წლის 23 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში **(N910; 23.08.2013წ)** მონაწილე კონკურსანტის მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2013 წლის 03 სექტემბერს, 14:00 საათზე;
ელექტრონულ კონკურსში **(N910; 23.08.2013წ)** მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა;

1. **შპს "Georgianhause;**

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადება წარმოდგენილია დალუქული კონვერტით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში - საკონკურსო წინადადების დაგვიანებით წარმოდგენას ადგილი არ ჰქონია. საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტის მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრმა მ.მენაბდემ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები და სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტის მიერ დალუქული კონვერტით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შპს „Georgianhause" - 179 000.00 (ას სამოცდაცხრამეტი ათასი ლარი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო (საკონკურსო) წევრმა მ.მენაბდემ აღნიშნა რომ, ვინაიდან საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა ხდება კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის და საკონკურსო წინადადების ფასის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული კონცეფციის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად, საკონკურსო წინადადების ეს ნაწილი შესწავლის მიზნით გადაეცეს სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ გადაწყვიტა:
1. კონკურსში მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება მოხდეს საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომაზე.
2. სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციის შესახებ.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კობა ხუბუნაია

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

05 სექტემბერი 2013 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 23 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N910; 23.08.2013წ) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:
ქ.თბილისში, კრწანისში არსებულ 47002,0 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.18.13.049.005) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული კონკურსის (N910; 23.08.2013წ) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კობა ხუბუნაია

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია